№ 74 10 აპრილი, სამშაბათი 1866—1879 10 აპრილი, სამშაბათი № 74

რედაქცია: სოლოლაკზე, ბალის ქუჩაზე, გ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—5 მან., სამის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

# დროება

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა: [illegible]ებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივ ციცეროთი—5 კაპ, პატარათი—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ამ 1879 წელს გაზეთი

## „დროება“

გამოდის მუდამ დღე და იმავე მიმართულებითა და პროგრამმით, როგორც აქამდინ გამოდიოდა.

### ხელის-მოწერა

თფილისში მიიღება რედაქციაში, ბალის ქუჩაზე გ. შადინოვის სახლებში, № 33.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა გაზეთი ამ ადრესსით უნდა დაიბარონ: *Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба“.*

### გაზეთის ფასი

| | |
|---|---|
| მთელის წლისა — — | 8 მან. |
| ექვსის თვისა — — — | 5 მან. |
| სამის თვისა — — — | 3 „ |
| ერთის თვისა — — — | 1 „ |

პირველი აპრილიდამ წლის დამლევამდინ 6 (ექვსი) მან.

ფული გაზეთის დაბარებისა-თანავე უნდა იქმნეს რედაქციაში წარმოდგენილი.

## ტელეგრამმები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

**პეტერბურღი**, 6 აპრილი. „მმართებლობის უწყება“ გვატყობინებს, რომ როსტოვში 2 აპრილს საღამოზედ მამხდარა არეულობა ხალხისა, რომელიც-გაათ მმართებლობას იძულებული ყოფილა მოეწვია ჯარი. აჯანყებულებს გაუტეხიათ პოლიცმეისტრის, პრისტავის და ისპრავნიკის სახლები. პოლიცმეისტრის და პრისტავის სახლი დაუცარიელებიათ. პოლიციის სასამართლოდამ გაუტანიათ საქმეები, რომელიც სულ გაუფუჭებიათ. დანაშაულობის დამამტკიცებელი ნივთები წაუღიათ. ნოვაჩერკასკიდამ დაბარებულმა ყაზახებმა და ტაგანროგიდამ მოსულმა კამანდამ დაამშვიდა არეულობა 3 აპრილს დილით. შინაგანის საქმეების მინისტრს დაუნიშნავს ამ საქმის თაობაზედ დირექტორი აღსრულებაში მომყვან პოლიციისა კასოვოვსკი.

**პეტერბურღი**, 6 აპრილი. „მმართებლობის უწყება“ გვატყობინებს, რადგანაც რამოდენჯერმე იწადეს უმაღლესი პირების მოკლა და თვით ხელმწიფესაც შეახეს ხელი, ამისთვის ინიშნებიან დროებითი გენერალ-ღუბერნატორები პეტერბურღში, ხარკოვში და ოდესსაში განსაკუთრებელ უფლებით; იგივე უფლება მიეცათ მოსკოვის, კიევის და ვარშავის გენერალ-ღუბერნატორებს. გურკო დანიშნეს პეტერბურღის სამხედრო ძაზრის ჯარის უფროსის თანაშემწეთ. გენერალი ბისტრომი დანიშნეს სამხედრო რჩევის მწევრათ. ლორის-მელიქოვი, რომელიც იმყოფება პეტერბურღში უკანვე ბრუნდება 8 აპრილს. ამბობენ პეტერბურღის გენერალ - ღუბერნატორი ის იქნებაო.

## საქართველო

### კავკასია—ავღანი

საშუალო საუკუნეებში დიდი მონგოლების ხელმწიფობა პირველად ავღანელების მეომარი გვარებით გაძლიერდა და შემდეგ დაიწყო აზიის აღმოსავლეთ-დასავლეთის დაპყრობა. ეს ასეც უნდა მომხდარ იყო, რადგან ავღანისტანი გინდუკუშის მთა-გორებზეა გადაჭიმული და ამ მთა-გორებში მთელი აზიის შესავალ-გამოსავალი კარებია. ავღანისტანი მოგერებითს ომში ძნელი დასამორჩი-

## ფელტონი

შეიძლება თუ არა გაყვანილ იქმნას „დროების“ „მე—47, 48, 49 №-ბში“ მოყვანილი ცოდნანი ჩვენს სასოფლო და სამ-ქალაქო შკოლებში?

3). საღმრთო და საერო ისტორია. (224 გაკვ.)

ქვეყნის დაბადება ექვს დღეში; ადამიანის დაბადება და მისი ცხოვრება სამოთხეში, შეცოდება, სამოთხის დაკარგვა და მაცხოვრის დაპირება, კაცობრიობის გამრავლება, მისი ზნეობითი დაცემა, წარღვნით ამოწყვეტა ხალხებისა, ახლად ადამიანთ ტომთ გამრავლება, ნოის სამის შვილის შთამომავლობანი; აქედამ პირ-და-პირ ქართლოსზე, როგორც იაფეტის შთამომავალზე, მამა-მთავარ ქართლოსიდამ ვიდრე სამეფოს დაარსებამდე: კავკაზეთის დაპყრობა ქართლოსის შთამომავლობით ხალხის ცხოვრება დაფუძნდა ბუნების მოთხოვნილების და გვარად; ხალხის მხრით ერთი ჭეშმარიტი ღმერთის დავიწყება და კერპთ თაყვანის მცემლობა მათში; ამათი ცხოვრება, წარმოებანი, მმართველობა, შეიარაღება; ხალხის მრავალ და ცალ-ცალკე ტომობით ცხოვრება და ამის მიზეზები; ფარნავოზი, საქართველოს ცხრა საერისთაოთ დაყოფა და ამისი სიცუდე; წოდებანი, ზაროასტრის რჯულის გავრცელება საქართველოში, ამ რჯულის კარგი და ცუდი მხარეები, წერა-კითხვის შემოღება და საკუთარი ალფავიტის შედგენა, მხედრობის გამართვა. სამეფოის დაფუძნებიდამ, ვიდრე ქრისტიანობის აღიარებამდე: სამეფოსა შინა ომები და სამეგრელოს გადგომა; ამ დროის საქართველოს წყობილობა და მდგომარეობა. მეფე ფარსმანი (3 წ. ქრისტეს დაბადებამდე ვიდრე 60 წ. ქრისტეს დაბადების შემდეგ); ამ მეფის დროს საქართველოს გაძლიერება; ქრისტეს დაბადება ფარსმანის დროს. აქედამ უნდა შეისწავლონ ყმაწვილებმა ახალი აღთქმა: ქრისტეს დაბადება, აღზდგომა, მონათვლა, ქადაგებანი, საწავლები, უპირველესნი ქრისტეს ჰსწავლანი შედარებით ზაროასტრის და კერპთ თაყვანის მცემლობის რჯულებთან; ქრისტეს ჯვარცმა, ამის მნახველი მცხეთელი ურია ელიოზი, ქრისტეს კვართი მცხეთაში, სიდონია, წმინდა სულის მეფენა, ჩვენი ქვეყანა ერგო წილათ თვით ღვთის მშობელს; ანდრეი პირველწოდებული და სიმონ კანონიტი (40 წ.) დასავლეთ საქართველოში და მათი ქადაგების შედეგი; ფარსმანი და ქრისტიანობა, საქართველოის ამ დროის მდგომარეობა რჯულის მხრით (კერპთ-თაყვანის მცემლობა და ამაედ მორწმუნებანი); უკეთესი ქართველების მიდრეკილება ქრისტიანობისადმი. რევი და მისი მეფობა; მირიონი; წმ. ნინო, სამეფო საბჭოს დადგინება და ქართველების მონათვლა; წმ. ნინოს ს. ბოდბეში და შედეგები ქრისტიანობის მიღებისა.

ქრისტიანობის აღიარებიდამ ვიდრე სპარსელებისაგან საქართველოს დაპყრობა: მეფე ბაკური; საბერძნეთის განათ-

ლებელია და მისვლის ომში, თუ კი ცოტათ მაინც ძლიერი მტერი შესია ავღანისთანიდან ინდოეთს ან სპარსეთს, უსათუოდ აიკლებს. როგორც ხელისგული, გინდუკუშის მთები მთელს ინდოს ქვეყნებს, ისე დაჰყურებს.

1048 წელს გაზნეს მაზრის მფლობელი მახმუდ-სულთანი გაძლიერდა, მოაგროვა მთელი ავღანისტანის გვარები, შესია ინდოეთს სპერსეთს და დაიპყრო მაშინდელი სამხრეთ-დასავლეთის აზია ტიგროსის მდინარიდან მოკიდებული განგესის მდინარემდე. მას შემდეგაც მონგოლების დიდი ყაენები რამდენჯერმე დასცემიან ავღანისტანიდან ინდოეთს, სპარსეთს და ყოველთვის დაუპყრიათ. მაგრამ ბოლოს მონგოლების ხელმწიფობაც დაეცა. სულთაი ბაბერმა 1504 წელს დაიპყრო ქაბულის ქალაქი, შეიკრიბა ავღანის ტომის გვარები, მიუმატა მონგოლებისას და დააფუძნა მუდამი მონგოლის სახელმწიფო საშუალო აზიაში. ამ სახელმწიფოის დედაქალაქათ გახდა დელლი; თუმცა თვით ხელმწიფობას დიდხანს არ გაუხარია, რადგან ავღანებმა მონგოლის ხელწიფეების ხელქვეით ყოფნას თავისუფალი ცხოვრება არჩიეს თავიანთ მთებში საკუთარი ერისთვების ხელქვეით. ავღანელები, როგორც წინათ ვთქვით, მეთვრამეტე საუნემდის დარჩენ პატარ-პატარა გვარებათ დაყოფილები და განიგებოდენ ცალკე ერისთვებისაგან, რომელთაგან თითოეულს თავ თავისი კოშკი ჰქონდა აგებული. მეთვრამეტე საუკუნეში გაძლიერდა აბდალლის გვარი და იმის ერისთავმა ახმეტ-ხანმა დაარსა პირველად ავღანისტანის მეფობა. 1747 წელს ქანდაგარს შეიკრიბნენ ყველა ავღანთ გვარების წარჩინელი კაცები და აქ ახმეტ-ხანი აღირჩიეს ავღანის მეფედ. როგორც ძველი ჩვეულება მოითხოვდა, იმან თავის ხელით დაიდგა თავზე სამეფო გვირგვინი. ახმეტ-ხანმა ძალიან კარგათ იცოდა თავის ხალხის ზნეობა, თვისება და ჩვეულება, იცოდა, რომ იმათში ძალდატანებით ვერას გააწყობდა და იმისთვის ყოველი გვარი საკუთარის ადათისამებრ ერისთვებს მიანება გასაგებლად. იმათს შინაურს საქმეში არ ერეოდა და არც არა ხარჯს ადებდა მთიულებს. მხოლოდ იმას ჰქონდა პირობა დადებული, რომ ყოველ ომიანობის დროს ერისთავებს ჯარი უნდა გამოეწვიათ ხოლმე ბრძოლის ველზე და ახმეტ-ხანს უნდა დამორჩილებოდენ. ომიანობის დროს ახმეტ ხანის უფლება კერძო ერისთვებზე და იმათგან მოგროვილს ჯარზე გაუსაზღვრელი იყო. ავღანელებს დიდი შევიწროება ახსოვდათ ცალმხრით ინდოელებისაგან და მეორეს მხრით სპარსელებისაგან. თუკი ახმეტ-ხანი ამათ წინაამდეგ ინებებდა გალაშქრებას, მთელი ავღანისტანის ერობა დიდის სიხარულით ჰგროვდებოდა თავის დიდებულ მეფის დროშის ქვეშ. ისინი შესეოდენ ხოლმე ხან სპარსელებს, ხან ინდოეთის ქვეყნებს, აიღებდენ ურიცხვ ქონებას და დატვირთული მობრუნდებოდენ ხოლმე თავიანთს მთებში. ნაშოვარი და ნაცარცვი ყოველ გვარს უნაწილდებოდა დამსახურებისამებრ. ახმეტ-ხანი ძალიან მხნე და გულადი მეომარი იყო. იმან თავის თავს და აბდალლის გვარს უწოდა დორდორანი (ამ სოფლის მარგალიტი). მაგრამ იმის მემკვიდრეებს არ გამოყოლიათ არც იმის გული და არც იმის ჭკუა. ავღანის გვარები მის სიკვდის შემდეგ ისევ შეიმალენ თავიანთ მთებში და ერისთვებმა იწყეს უწინდულათ და მოუკიდებელი ცხოვრება.

ამ სახით 1829 წელს უკანასკნელი შთამომავალი ახმეტ-ხანის მეფის წული ჩუჩა ყოველს გავლენას მოკლებული განაძეს ავღანიდან. ის გადიხვეწა ინდოეთის მოსაზღვრე მთავართან პენჯაბის მფლობელთან რუნჯი-ზინგთან. ეს მთავარი იყო ინგლისის მოკავშირე და, მეტი არ შეიძლება, ისე სძულდა ავღანელები; ძველითგანვე არ ჰქონდა იმათგან მოსვენება. ამ დროს ჰერატის მაზრაში ერისთავად იყო კამრანი; ქაბულში იყო დოსტმაგომეტი ძალიან ჭკიანი და მხნე მეომარი კაცი. ამას ჰყავდა 9000 ცხენოსანი მუდამი ჯარი, ორი ათასი ქვეითი და 14 ზარბაზანი; გაზნეს მაზრა მიანდო მან თავის ძმა; ქანდაგარში, მთვრობა და კოლენდილი რომელსაც ჰყავდა 9000 მეომარი მხედარი და ექვსი ზარბაზანი. ამგვარი მაზრების დანაწილებით და მთავრების ერთმანეთში ბრძოლის გამო ავგანისტანის ქვეყანა მეტად დაძაბუნებული იყო. პენჯაბის უფროსმა ისარგებლა ავღანისტანის ერისთვების უკმაყოფილებით და დაიპყრო პეშავერი და სინდეთი. რუნჯი-ზინგს ზურგი ინგლისელებისგან ჰქონდა გამაგრებული.

თვითონ ინგლისის მთავრობაც ჰგრძნობდა, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ავღანისტანის ქვეყანას ინდოეთის სახელმწიფოსათვის; ეს ქვეყანა, როგორც არა ვსთქვით, იყო მთელი ინდოეთის საფარი, რომელიც იცავდა ინდოეთს ჩრდილოეთით მონგოლის ტომებისაგან ისე, როგორც კავკასია იცავდა მთელს მცირე აზიას სლოვენების ტომების შემოსევისაგან. ვისაც ავღანისტანის კარები ხელში ექნებოდა, ის ინდოეთში შესასვლელ კარებსაც სამუდამოთ ჰკეტავდა მტრის წინაალმდეგ; როგორც კავკასიის დაჭერით მცირე აზიაც ადრე თუ გვიან უნდა დაპყრობილ იყო, ისე ავღანისტანის დაპყრობით ინდოეთი უფრო სამკვიდროთ ჰხდებოდა. ინგლისის მთავრობა პენჯაბის მთავარს რუნჯი ზინგს უფრო ამის გულისთვის აძლევდა დიდს წყალობას. არამც თუ იმას, ავღანისტანიდან გამოგდებულს ახმეტ-ხანის ჩამომავალს ჩუჩისაც პენსია დაუნიშნა, როგორც ავღანისტანის ტახტის მეძიებელს. ინგ-

---

ლება საქართველოში, შკოლები, ქრისტიანობის მკვიდრად დაფუძნება საქართველოში; ამაო მეცადინეობა სპარსელების მხრით ქრისტიანობის აღმოსაფხვრელად. მეფე ვახტან-გორგასლანი; ამისი ომები; შინაგანი და გარეგანი დაწყობილობა საქართველოისა; სირიელთა მამების მოსვლა, თფილისის დაარსება და ვახტანგის სიკვდილი. ვახტანგის სიკვდილიდამ ვიდრე არაბების მხრით საქართველოის დაპყრობა: შინაგანი მდგომარეობა საქართველოსი ვახტანგის მემკვიდრეების დროს, თფილისი ხდება სატახტო ქალაქად, გაძლიერება ჩვენი თავად-აზნაურობისა, საქართველო გახდა სადავო სახელმწიფოდ ბერძნებისათვის და სპარსელებისათვისს. მეფე ადრნასე (626-639 წ.). პირველი ამბავი საქართველოში არაბებზე. მაჰმადი, ვინ იყო იგი და მისგან დაარსებული ისლამი; მოკლე ისტორია არაბეთის სახალიფოსი დაპყრობა მათგან სირიისა, პალესტინისა, სპარსეთისა, სომხეთისა; კერპთ-თაყვანის მცემლობის დაცემა, არაბების შემოსევა საქართველოში, დავით და კონსტანტინე არაგვის ერისთავები და მეფე არჩილ; მეორეთ შემოსევა არაბებისა, არჩილის წამება; საქართველოს დარღვევა, არაბების მფლობელობა, აღმოშობა ფედალებისა, არაბების განათლება, სასულიერო განათლება საქართველოში და იოანე ევთიმე გიორგი მთაწმინდელი, იოანე მარუშიძე, დავით კურაპალატი, გურგენ და მეფე ბაგრატ მესამე, საქართველოს შეერთება და გაძლიერება, მცხეთის და ქუთაისის ტაძრები. ბაგრატ მესამის სიკვდილიდამ ვიდრე სულჯუკების მფლობელობამდე: ამ დროის საქართველოს შინაგანი და გარეგანი მდგომარეობა; შემოსევა ოსმალებისა საქართველოში, აოხრება საქართველოსი და ოსმალების მტარვალობანი; საზოგადოებრივი წყობილების და წესების დაცემა საქართველოში; მეფე დავით III აღმაშენებელი, ამისი მეცადინეობა ხალხში ზნეობის აღსადგინებლად, საქართველოს აღდგინება და შეერთება, გელათის მონასტერი, საავათმყოფო სახლის აშენება, სწავლულების და სამღვდელოების მფარველობა დავითის მხრით, დავითის გამარჯვებული ომები ოსმალეთთან და სხვა ხალხებთან, სამხედრო დაწყობილობანი, აღშენება და განახლება საყდრებისა და მონასტრებისა, გზებისა და ხიდების გაკეთება; რაც შეიძლება ვრცელი აღწერა საქართველოს სახელმწიფოსი; რომელიც დაარსა დავით აღმაშენებელმა— სამზღვრები, მცხოვრებნი, კანონ-მდებლობა, სამხედრო ძალა და შეიარაღება, სახელმწიფო შემოსავალი, უკოდალები დავითის დროს. საქართველო დავით აღმაშენებლის შემდეგ თამარის გამეფებამდე. თამარის მეფობა. საქართველო თამარ მეფის სიკვდილის შემდეგ ვიდრე მონგოლების საქართველოში შემოსვლამდე და ამ გვარად ჩვენ დრომდე... (ამით ვათავებ პროგრამმას საქართველოს ისტორიისას, რადგანაც ისტორიული წიგნები საქართველოზე აღარა მქონდა).

(დასასრული შემდეგ №-ში)

ლისის მთავრობა მუდამ აქეზებდა რუნჯი-ზინგს, რომ ავღანის მთავრებისთვის ბრძოლა აეტეხა, შესეოდა ავღანელებს, წინ წაეძღოლა გამოგდებული ჩუჩა და იმათი შეოხებით თავის ჯარი შეეყვანა ავღანისტანში. ინგლისს ჰსურდა, რომ ჯერ ჩუჩა გამხდარიყო ავღანისტანის მემკვიდრეთ, პატარა ხანს იქით კი ჩუჩასვე მემკვიდრეები დაეკრიფა, ინდოეთში გადაეყვანა და თვითონ დაპატრონებოდა ავღანისტანის ქვეყანას.

ინგლისს მით უფრო ჰსურდა ამ გვარი პლანის შესრულება, რომ ცალმხრით რუსეთი მოისწევოდა წინ თურქისტანში, და უახლოვდებოდა თან-და-თან ინდოეთის საზღვრებს; მეორეს მხრით სპარსეთიც ცდილობდა ავღანის ერისთავებთან კავშირის შეკვრას ინგლისელების წინააღმდეგ. ავღანის ერისთავებში ყველაზე უფრო შორს გამჭვრეტი იყო ქაბულის მთავარი დოსტომაგომეტი, რომელსაც ჰსურდა სპარსეთთან შეკავშირებულ იყო და სპარსეთის ჯარის შემწეობით რუნჯი-ზინგისგან წართმეული ავღანის მაზრები ისევ დაებრუნებინა, მთელი ავღანისტანი ხელში ჩაეგდო და ინგლისი არ შემოეშვა თავის ქვეყანაში. მართლაც ამ განზრახვით დოსტამაგომეტმა ზერატის ერისთავი კამრანი გადააგდო ტახტიდან და ეს მაზრა სპარსეთს მიასაკუთრა. ამის ნაცვლად სპარსეთმა აღუთქვა დოსტამაგომეტს შემწეობა ორმოცი ათასი კაცით.

(შემდეგი იქნება)

## „დროების" კორრესპონდენცია

მარტის 28-ს ყველიერის კვირა დილით მრთელი ზურჯაანი აღელდა „დავითა ურია მოუკლავთო და ფარჩა აუკიდიათო."

ეს ურია იყო დავით იოსებაშვილი, ზურჯაანში ფარჩეულ-საწვრიმალოთი მეორე გილდიის მოვაჭრე; ამისთანა კარგი ხასიათის და დარბაისელ მოვაჭრე კაცს ზურჯაანი ძვიან ნახავს: ყოველს ზურჯაანელს-თავადს, თუ გლეხს-ღარიბს, თუ მდიდარს ყველას ერთნაირად უმართავდა ხელს-სავაჭროთი, ფულით, სიტყვით და საქმით . . . ეს კაცი ვაჭრობდა „ნავის" მარცხენა მხრივ მარჯვენივ ვაჭრობდა სიღნაღელი მელიქ აივაზოვი, რომელიც „კიეველი ქულიკივით" გარმონის დაკვრით იტყუებდა ხალხს თავისთან. ამ გვარათ მელიქა და ურია-ორივ ფარჩით მოვაჭრენი ერთმანერთს მტერ მოყვარულად უყურებდნენ

ამ უკანასკნელ დროს თითქმის ყველა გურჯაანელი რჩეოდა ევაჭრნა ებრაელთან, ვინემ აივაზოვთან; ეს მით უფრო, რომ მეორემ მეგობრები მტრად გადაიქცია, პირველმა კი ყველანი მეგობრებად შეიძინა. ეს დაინახა ებრაელმა და მოინდომა იმ დუქნის დაქირავება, რომელშიაც აივაზოვი ვაჭრობდა: ორი თუმანი ქირა მოუმატა რვა თუმნათ გაუხადა სახლის პატრონს. ყველა ამ გარემოებით აივაზოვი მოჰყვანდათ ზეზარზედ.

ეს გარემოებანი გაუძღვნენ წინ „დავითა ურიის" მოკვლას. ყველიერის შაბათს აივაზოვი (მელიქა) სიღნაღს წავიდა, ვინ იცის რა აზრით იმღამეს ასაყრელი დარაბის ქვეშ დირე გამოეთხარნათ, შეეყოთ ხელი და კოჭა ამოეძროთ; დარაბის აყრა რომ დაეწყოთ, მხოლოდ მაშინ გაეგო მძინარე ებრაელს (გვერდით თავის ათი წლის ძმისწული ეწვა).

ურიის ქვეშაგებიდამ წამოდგომა და ოთხი ავაზაკის შეცვივნა ერთი ყოფილა, დაუშენიათ ხანჯლები, მიუმკვდარებიათ და გასულან გარეთ. ამ დროს დაკოდილი ურია წამომდგარა და ბნელაში ანდეზედ დახლის მისდგომია, შემოუკლია დახლისათვის და უკან გასავალ კარის კოჭა უწვალებია, ეგება როგორმე აქედან თავს უშველოვო. პატარა ებრაელი კი ზარდაცემული ყოველ ამას ყურს უგდებდა, დარაბებთან კუნჭულში მიმალული. გარეთ რო გასულან, ერთს ავაზაკს უთქვამს: „რას გვაოგებს მაგის მოკვლა, მთელ თავის ქონებას გვაძლევს, მოდი წავიღოთ ფული, ფარჩა და დავანებოთ-თავი, მაგის მორჩენა მაინც ხომ აღარ შეიძლებაო" . . . ამაზედ ერთს (გარეთ მოდარიალეს) უთქვამს: ფულისა და ფარჩის წასაღებათ „კი არა", მაგ ძაღლის მოსაკლავად მოხვედითო მოხვედითო", რაში გვინდა მაგის ცოდვიანი ქონებაო.

ამის შემდეგ შემოცვივნულა ხელ მეორედ ოთხი ავაზაკი (მეხუთე კი კარეპთან მიმდგარა), დაუშენიათ ხანჯლები და აუნკუწნიათ. მაზრის ექიმმა გამომძიებელთი 59 ჭრილობა შეამოწმა; ამათში ექვსი ისეთი დაკრული ყოფილა, რომ თვითეულს თურმე შეეძლო გეეთავებინა კაცი. როგორც რიგია იწყეს გამომძიებელმა-პროკურორით საქმის გამოძიება.

პროკურორმა მიაქცია ყურადღება დუქნის მახლობლათ მცხოვრებ კაცებს: ერთი ათ ნაბიჯზედაა, სამი ოც ნაბიჯზედ ორი ორი ოც და ათზედ... შემდეგ მედუქნეებზედ, „რომელთაც არ შეეძლოთ არა გაეგოთრა იმღამესაო", სთქვა პროკურორმა და გარემო მოსახლეობანი და დუქნები დაახომვინა; სოფელმა მთლად მელიქ აივაზოვზედ უჩვენა, „მაგის მეტი მტერი ურიას არავინა ჰყოლიაო.

პროკურორმა მიაქცია ყურადღება ავაზაკთ ბაასს დუქნის გარეთ: „ქონება წავიღოთო" არა, საჭირო არ არისო, ეგ უნდა მოვკლათო. ამ უკანასკნელი სიტყვებისა და დუქნის სრულად, უკლებლივ დახვედრის შორის ჰპოვა კავშირი პროკურორმა.

ეხლა აივაზოვი დაჭერილია სიღნაღში.

პ. ცხვიდოელი.

ს. ზურჯაანი.

# განცხადებანი

**თბილისის ქალაქის გამგეობა** საყოველთაოთ აცხადებს, რომ 13 აპრილს დანიშნულია ტორგი, ხუთი წლით არენდათ მიცემის ქალაქის ალაგებისა, რომელიც შეადგენს 600 ოთხ კუთხი საჟენს და რომელიც მდებიარობს მე 10 უჩასტკის მეორე ნაწილში, პირველ ჩასავალ მტკვრის დაღმართზედ, ერისთვის სახლის პირდაპირ შემდეგ საზღვრებით: ჩრდილოეთის მხარეს ვარანცოვის ნაბერეჟნა, აღმოსავლეთით და სამხრეთით მდინარე მტკვარი და დასავლეთით ისარლოვის მამულები.

(1—3)

**პეტერბურღელი მკერვალი გერმან**

ბანოვის ქუჩაზე, იონესიანის სახლი.

პატივი მაქვს ვაცნობო თფილისის პატივცემულ საზოგადოებას, რომ ვიღებ ყოველ გვარ ზაკაზ, ჩემის საქონლითვე ვკერავ სამხედრო და სამოქალაქო ტანისამოსს; მე თვითონ ვადევნებ თვალ-ყურს, რომ ყველაფერი რიგიანათ იყვეს შეკერილი.

ამას გარდა ჩემს მაღაზიაში არის დამზადებული კაცებისა და ბავშის ტანისამოსი.

ყველა გვარ ზაკაზს იაფ ფასად და რიგიანად ვასრულებ.

(5—5)

ფოთის მეორე გილდიის ვაჭარს,

**ხახუ დავითის ძე თოფურიძეს**, პატივი აქვს გამოაცხადოს, რომ მისგან წარმოებული ადრინდელი **საკამისიონერო კანტორა** არ ყოფილა მოქმედებაში ომიანობის გამო 1876 წლიდან, ვიდრე ამა მდგომარე წლამდის. ამა წელში ეს **საკამისიონერო კანტორა ისევ გაიხსნა ფოთში** ივანოვის ქუჩაზე, ალანიას სახლებში.

აცნობებს ამაზედ როგორც პირველი დროების მუშტრებს, ეგრეთვე სხვა ვაჭრებსაც. კანტორა ღებულობს თავის თავზე ყოველ ნაირი საქონლების მიღებას და გაგზავნას ყოველგან რუსეთის და გრანიცისა, მასთან გრანიცის საქონლების დამოჟნაში დაბაჟვას, ეგრეთვე ყველა ნაირი საქონლების გამოწერას რუსეთიდამ და გრანიციდან.

ამას გარდა დროებით ჩამოსულთ ფოთში ვაჭრებს აძლევს თავის კანტორაში ბინას.

(5—5)

დაიბეჭდა და ისყიდება
საქართველოს

# ᲥᲐᲚᲔᲜᲓᲐᲠᲘ

ფასი 20 კაპეიკი

შედგენილი ი. ლიაძისაგან და გამოცემული მქ. ხელაძისაგან.

თფილისში, ყველა წიგნების მაღაზია-ში. გორში: ძამოევის მაღაზიაში. ქუთაისში: კ. მესხის წიგნის მაღაზიაში და ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში. ფოთში: ელისბარ ბაბალოვთან, ოზურგეთში, ბრიგოლ ჯინჭარაძის მაღაზიაში.—

ვინც 100 ეგზ. ერთათ გაიწერს, იმას ეგზემპლიარი 15 კაპეიკათ დაეთმობათ.—

ისყიდება უ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში

---

გამოვიდა და ისყიდება

# „ᲒᲣᲢᲘᲐᲝᲑᲐ“

ლექსი
აკაკი წერეთლისა

ისყიდება: ჩარკვიანის, ვართანოვის და გრიქუროვის წიგნის მაღაზიებში. აგრეთვე უფ. შავერდოვის გაზეთის სააგენტოში—ბულვარზე.

ქუთაისში—უფ. კ. მესხის წიგნის მაღაზიაში.

ფასი—ერთი აბაზი.

---

გაიმართა სახელოსნო რომელშიაც მსურველს შეუძლიან გააკეთებინოს შემდეგი სამეურნეო იარაღები:

კევრი ნიკ. ავალიშვილისა.

მატარებელი (приводъ) ამ კევრისათვის, თ. ერ. ჩოლოყაშვილისებური, ამჟამად გაუკეთესებული მისგანვე.

მატარებელი (приводъ) ისევ ამ კევრებისათვის, ნიკ. ავალიშვილისებური, მეხანიზმოთი. საჭიროდ ვრაცხავ ვაცნობო მეურნეთა, რომ ხსენებული კევრი შარშანდელ კვალობაზედ ახლა დიალ გაუკეთესებულია, და თუ რამ დამატება და შეცვლა ეჭირებოდა ახლა შეცვლილია და შესრულებული ამ დამატებებითა.

ამ იარაღების შეძენა ვისაც ჰსურს, უნდა მიჰმართოს ნ. ავალიშვილს სოლოლაკზედ, პოჯაროვის ქუჩაზედ, ამბარცუმოვის სახლში, № 2, ნაშუადღევის 4-ან 7 საათამდის.

---

## ᲤᲝᲗᲘ-ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲠᲙᲘᲜᲘᲡ ᲒᲖᲐ

9 აპრილიდამ დაიწყება საქონლის და პასაჟირის პოეზდის სიარული № 5 ფოთიდამ თფილისამდინ და № 6 თფილისიდამ ფოთამდინ, ქვემო მოყვანილ წყობილებით:

| პოეზდი № 5 | | | | | პოეზდი № 6 | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სტანცია. | მოდის. | | მიდის. | | სტანცია. | მოდის. | | მიდის. | |
| | საათ. | მინ. | საათ. | მინ. | | საათ. | მინ. | საათ. | მინ. |
| ფოთი . . . . | — | — | 6 | 45 | თბილისი. . . | — | — | 12 | 56 |
| რიონი | 1 | 25 | 2 | 20 | გორი | 4 | 15 | 4 | 35 |
| ყვირილა . . . | 3 | 46 | 4 | 39 | მიხაილოვა. . . | 6 | 25 | 6 | 45 |
| მიხაილოვა . . . | 9 | 36 | 10 | 06 | ყვირილა. . . | 11 | 44 | შუაღამისა 12 | 15 |
| გორი . . . . . | 11 | 55 | 12 | 20 | რიონი. . . . . | 1 | 24 | 1 | 54 |
| თბილისი. . . | 3 | 51 | — | — | ფოთი . . , . . | 6 | 35 | — | — |

პასაჟირის პოეზდი № 1 ფოთიდამ და № 2 თფილისიდამ, ამას გარდა საქონლის პასაჟირის № 7 სურამიდამ და № 8 თფილისიდამ უწინდელ წყობილებით ივლიან. (3—2)

---

# ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲐᲓᲒᲘᲚ-ᲛᲐᲛᲣᲚᲝ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲔᲝᲑᲐ

ᲡᲐᲧᲝᲕᲔᲚᲗᲐᲕᲝᲓ ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛ: Ა, ᲔᲡ ᲑᲐᲜᲙᲘ ᲐᲛ ᲛᲐᲠᲢᲘᲡ 10 ᲠᲘᲪᲮᲕᲘᲓᲐᲜ. ᲛᲝᲙᲚᲔ-ᲕᲐᲓᲘᲐᲜ ᲡᲔᲡᲮᲡ ᲐᲫᲚᲔᲕᲡ ᲮᲣᲗᲐᲡ (5000 ᲛᲐᲜ.) ᲗᲣᲛᲜᲐᲛᲓᲔ, ᲓᲐ Ბ, ᲛᲝᲙᲚᲔ-ᲕᲐᲓᲘᲐᲜᲘ ᲡᲔᲡᲮᲘᲡ ᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲐᲓ ᲘᲚᲔᲑᲡ ᲘᲛ ᲞᲘᲠᲗᲐᲒᲐᲜ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲓᲒᲔᲜᲐᲓ ᲤᲣᲚᲘ ᲐᲠ ᲨᲔᲣᲢᲐᲜᲘᲐᲗ, ᲪᲮᲠᲘᲡ ᲛᲐᲒᲘᲔᲠ ᲠᲕᲐ ᲐᲡᲔᲣᲚᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲡ. (3—3)

---

| რკ. გზა. | დილა. | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | მ. | კაპ. | მ. | კაპ. |
| თფილისი . . | 9 | 21 | 5 | 18 | | | | |
| მცხეთა . . . | 10 | 11 | 6 | 27 | - | 85 | - | 44 |
| გორი. . . . | 11 | 58 | 9 | 43 | 3 | „ | 1 | 53 |
| ხაშური. . . | 1 | 29 | 11 | 57 | 4 | 73 | 2 | 42 |
| სურამი. . . | 1 | 44 | | | 4 | 90 | 2 | 61 |
| ყვირილა . . | 5 | 49 | | | 7 | 21 | 3 | 69 |
| რიონი . . . | 6 | 57 | | | 8 | 44 | 4 | 31 |
| სამტრედია . | 7 | 51 | | | 9 | 66 | 4 | 93 |
| ახალ-სენაკი | 8 | 43 | | | 10 | 71 | 5 | 47 |
| ფოთი . . . | 9 | 50 | | | 12 | 24 | 6 | 26 |
| ფოთი . . . | 9 | 3 | | | | | | |
| ახალ-სენაკი | 10 | 14 | | | 1 | 53 | - | 78 |
| სამტრედიი . | 11 | 5 | | | 2 | 61 | 1 | 33 |
| რიონი. . . | 12 | 13 | | | 3 | 84 | 1 | 97 |
| ყვირილა . . | 1 | 18 | ღამე. | | 5 | 3 | 2 | 56 |
| სურამი . . . | 5 | 12 | 1 | 10 | 7 | 34 | 3 | 74 |
| ხაშური . . . | 5 | 39 | 1 | 37 | 7 | 51 | 3 | 84 |
| გორი . . . | 7 | 5 | 4 | 8 | 9 | 24 | 4 | 73 |
| მცხეთა . . . | 8 | 50 | 6 | 59 | 11 | 39 | 5 | 82 |
| თფილის . . | 9 | 31 | 7 | 56 | 12 | 24 | 6 | 26 |

| ტელეგრაფი | მან | კაპ. |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა თფილისიდამ: | | |
| კავკასიის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში. . . . . . . . . | — | 50 |
| როსტოვს, ოდესას, მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურგს, ვარშავას . . . . | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში. . | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში . | 3 | 50 |
| ინგლისში . . . . . . . . . | 3 | 75 |

**ფოსტა**

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს— ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. ოზურ.— პარასკ. და ორშ. კახეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ— ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ: | კაპ. |
|---|---|
| ღია წიგნის . . . . . . . . | 4 |
| დაბეჭდილის (ხამი მისხალი) . | 8 |

| მაზანდა | მან | კაპ |
|---|---|---|
| თფილისი, 5 აპრილს. | | |
| ფქვ. თეთ. ბანჯისა, ფთ. | 1 | 60 |
| ფქვილი წითელი . . . | 1 | 40 |
| ქერი ფუთი . . . . . | 1 | 25 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი . | 7 | 30 |
| — ამერიკისა, ფუთი . . | 8 | 40 |
| გაპენტილი ბამბა ფუთი. | 9 | 60 |
| მატყლი თუშური ფუთი | 6 | 50 |
| — თარაქამისა ფუთი . . | 3 | 80 |
| აბრეშუმი ნუხური სტ . | 2 | 10 |
| ქონი, ფუთი . . . . . | 5 | 50 |
| ქონის სანთელი ფუთი . | 7 | 55 |
| სტეარინის სანთელი, ფთ. | 12 | 60 |
| ხორცი ძროხისა, ლიტ. | 1 | 8 |
| — ცხვრისა, ლიტრა . . | 1 | 8 |
| სპირტი ვედრო . . . . | 4 | 60 |
| შაქარი, ბროც. ფუთი . | 7 | 35 |
| — ფხვნილი ფუთი . . . | 5 | 50 |
| ყავა გრგვალი, გირვ . . | — | 65 |
| ჩაი ქუნჯუთისა ფუთი | 11 | 80 |
| თამბაქო, ხაშულო ფთ. | 7 | 40 |

**ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ.**

ერევნის მოედანზე, წ. ნაძლევაროვის სახლებში.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველს დღე დილის 9 საათიდამ 1-მდინ.

ორშაბათს: ვერმიშევი და ბარლევიჩი—შინაგ. ავათ., ქიუჩარიანცი—ქალის ექიმი და საშვილოსნოს ოპერაციები.

სამშაბათს: ვერმიშევი—შინაგ. ა. ბახუტოვი—საბებიო და ბავშვის. პეუნოვი—თვალის.

ოთხშაბათი: ვერმიშევი შინაგანი ავათმყოფობის.

ხუთშაბათს: ვერმიშევი—შინაგ., ქიუჩარიანცი—სიფილიტიკური და საშარდე ორგანების.

პარასკევს: ვერმიშევი-შინაგ., ა. ბახუტოვი—საბებიო, ქალისა და ბავშვების.

შაბათს: ვერმიშევი შინაგ., და პეუნოვი—თვალისა.

---

*Дозволено цензурою. Тифлисъ 9 Апрѣля 1879 г. Типографiя Меликова.* გამომცემ. ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.